პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 11 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 7 (695) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩვეულებ. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## სამხედრო თათბირი

**რომელიც დანიშნულია დღეს, დილის 10 საათზე**

## შ ე ს დ ო მ ა

**ოთხშაბათს 14 იანვარს საღამოს 6 საათზე რედაქციის ბინაზე.**

გაზეთ „წითელ არმიელის" რედაქცია.

## ლენინის კუთხე სათანადო სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ.

ახლოვდება ამხ. ლენინის გარდაცვალების წლის თავი. ცხადია, თითეული ჩვენი ნაწილი დიდ მზადებაში არის მის შესახვედრად. პირველი და მთავარი ყურადღება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამხ. სნეგირევი გაზ. „კრასნი ვოინი"-ს ფურცლებზე, მზადების დროს უნდა მიექცეს ლენინის კუთხეების მდგომარეობას.

ბელადის გარდაცვალების დღიდან სტიქიურად აღმოცენდენ ყველა მუშათა ორგანიზაციებში, სოფლად და ჩვენ ჯარშიაც ლენინის კუთხეები. იშვიათად ნახავთ ისეთ მუშა-მოსამსახურეთა დაწესებულებას ან ჯარის ნაწილს, სადაც არ იყოს ლენინის კუთხე. ეს გარემოება სავსებით გამოხატავს მას, თუ რა რიგ დიდია წყურვილი მშრომელთა მასებში ლენინიზმის შესწავლისა და შეთვისების. მართლაც ლენინის კუთხეც ლენინიზმის დაწყებითი სკოლაა, სადაც თითეული მშრომელი უნდა ეცნობოდეს ლენინიზმის ძირითად დებულებებს, რაც შეიძლება გასაგებ, პოპულიარულ ფორმებში. ამიტომაც როგორც ამხ. სნეგირევი აღნიშნავს „ლენინის კუთხე როგორც თავისი გარეგნული სახით, ისე თავისი შიგნით მუშაობით უნდა ანხორციელებდეს წითელ არმიელთა აღზრდის ამოცანას ჩვენი ბელადის ანდერძების მიხედვით"—ასეთია ლენინის კუთხის დანიშნულება და მიზანი. მაგრამ ერთია როგორი უნდა იყოს ლენინის კუთხე, მხოლოდ სხვა კი როგორი არის ის.

უნდა ვსთქვათ, რომ მეტ ნაწილად ლენინის კუთხეები სრულიად ვერ დგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე. ხშირად შევხვდებით ჩვენ ლენინის კუთხეს, სადაც არარება პლაკატებია, ლოზუნგები. მაგრამ არც ერთი მათგანი ლენინიზმის გამომხატველი არ არის. ანდა ლენინის კუთხის არსებობას იმით მიხვდებით, რომ არის მხოლოდ წარწერა და კუთხეში კი არაფერი არ მოიძებნება.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, არა ნორმალურია.

ლენინის კუთხე ისე უნდა მოეწყოს, რომ ის ემსახურებოდეს თავის მიზანს, რომ ის იზიდავდეს წითელ არმიელის ყურადღებას და აძლევდეს მას არსებითს ლენინიზმიდან. სიმრავლეს არ უნდა მივსდიოთ.

აქ სავსებით უნდა დავიცვათ ამხ. ლენინის სიტყვები: „უმჯობესია მცირე და კარგი".

ამიტომ საჭიროა ამ თავითვე მიექცეს უდიდესი ყურადღება ლენინის კუთხეების სათანადო დონეზე დაყენებას. გაუმჯობესებული იქმნას მის გარეგნული სახე, და შიგნით მუშაობის გეზი აგებულ იქმნას ლენინიზმის მტკიცე საფუძველზე.

ეს აუცილებლად შესრულებულ უნდა იქმნას.

## წ. არმიელების ლტოლვა ჩვენს პარტიისაკენ.

ნაწილებში მომუშავე ამხანაგებთან საუბრის დროს ირკვევა, რომ პარტიაში შემოსვლის მსურველები ბლომათ არიან წ.-არმიელთა შორის. ამასვე ადასტურებს „წითელ არმიელში" მოთავსებული კორესპონდენციებიც. ჩვენ ეს მოვლენა უსათუოდ უნდა ჩავთვალოთ დადებითად და სათანადოთ უნდა იქნეს შეფასებული.

რა თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ ამ საკითხს? რა მომავალ შედეგებით უნდა იქნას ის შეფასებული? ჩვენ კარგათ ვიცით ჩვენი ეხლანდელი სოფლის მდგომარეობა და მისი კულტურული და პოლიტიკური განვითარება. იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც პარტიული უჯრედები იყოს და თუ ორ სამ სოფელში არის ერთი უჯრედი მას სათანადოთ ხელმძღვანელი არ ყავს. შეიძლება სოფლის უჯრედს ორ თვეში ერთხელ ეწვიოს რაიონის ან მაზრის ინსტრუქტორი, რომელიც ჩაატარებს კრებას პარტიის წევრთა შორის და გაუდგება გზას. სოფლის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენათ უნდა ჩაითვალოს უპარტიო ძასის უჯრედის კრებაზე დასწრება. და თუ ოდესმე მოხდა ასეთი კრების ჩატარება აქ უპარტიო მასსა ბევრს ვერაფერს მიიღებს პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის, რადგან საამისოთ მომზადებული ამხანაგები სოფლად ნაკლებათ მოიპოვებიან.

ამას გარდა, არც კულტურული დაწესებულებები არიან მოწყობილი, სადაც შეიძლებოდეს თვით განვითარების ხელის შეწყობა. ყველა ეს დაბრკოლებები ეღობება წინ ჩვენს გლეხობას, რომლებსაც შეიძლება დიდი სურვილი ქონდა მიეღო მონაწილეობა ამ საერთო კულტურულ და პოლიტიკურ გათვითცნობიერების საქმეში. მაგრამ საუბედუროთ, როგორც ზევით ვთქვი საამისო პირობები არ იყო მასთვის.

აქ, როგორც ვიცით სოფლისგან მოწყვეტილ წ.-მოლაშქეს ყველაფერი მზათ აქვს. მისთვის არის მოწყობილი სამკითხველო-ბიბლიოთეკა, ლენინის კუთხე, კლუბები და სხვა. ამას გარდა მას პოლიტიკურ დარგში ყავს მასწავლებელი პოლიტხელი, რომელიც უხსნის პარტიის პროგრამებს და აცნობს მუშათა და გლეხთა მთავრობის მოქმედებას.

ხშირათ იმართება თავიანთ ასეულებში უჯრედის ღია კრებები, სადაც არჩევენ მუშების და გლეხების პოლიტიკის სადღეისო საკითხებს. ყველა ამ მუშაობის შემდეგ გლეხი წ. არმიელი შეგნებულად ითვისებს ყოველივეს და ებმება საერთო აღმშენებლობით მუშაობაში და ხდება აქტიური წევრი მუშურ-გლეხური ხელისუფლების. ის ამავე დროს რწმუნდება იმაშიც, რომ მისი აქტიობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ის (გლეხი წ.-არმიელი) შეიქმნეს ნამდვილი წევრი იმ კლასის და პარტიის, რომელიც ხელმძღვანელობს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს. და როდესაც ასეთ პირობებში მოდიან ჩვენს პარტიის რიგებში წ.-არმიელთა შემადგენლობა, მას ჩვენ ყოველთვის თამამათ შევხვდებით და კიდევაც საშუალებას მივსცემთ გახდეს ღირსეული წევრი ჩვენი პარტიის, რის შემდეგ ჩვენს ჩამორჩენილ სოფლებს დაუბრუნებთ უკან მომზადებულ კომუნისტს და რევოლიუციონურ მხედარს.

ხ. ლ.

## ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფად

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა დადგენილება ზომების ხელმძღვანელობის შესახებ ლენინის ხსოვნის უზრუნველსაყოფად.

ცენტრალური კომისიის ამოცანების გეგმიანად ჩასატარებლად სდგება კომისიები უკრაინის, ამიერ-კავკასიის ცაკთან და ქალაქ ტაშკენტში და ნოვონიკოლაევსკში.

ცენტრალურ კომისიების დადგენილებანი სავალდებულოა და არ შეიძლება მათი შეცვლა ადგილობრივ კომისიების მიერ. უკანასკნელმა თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინონ ცენტრალურ კომისიებს.

## მუშათა მოძრაობა.

### კლაინსი ინგლ. პროფკავშირთა უმცირესობის შესახებ.

ეხლახან პროფკავშირთა უმცირესობის წარმომადგენლებმა წინადადება გაუგზავნეს ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოს გაეგზავნათ წარმომადგენელი უმცირესობის კონფერენციაზე, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო საკითხი პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ. მაგრამ კონგრესის საბჭომ მათ უარი უთხრა წარმომადგენლების გაგზავნაზე.

ამ საქმესთან დაკავშირებით მუშათა პარტიის ლიდერმა კლაინსმა განაცხადა: „უმცირესობის ჯგუფები სცდილობენ განაცალკევონ მუშები, ჩამოაშორონ მუშათა პარტიას და აგრეთვე პროფკავშირებს. ჩვენი ამოცანა ძალღონისად მივაპყროთ საზოგადოებრივი ყურადღება მუშათა პარტიას სალი მოძღვრებისაკენ."

## ინგლისის მთავრობის ახალი ზომები გაფიცვების წინააღმდეგ.

ინგლისის სამხედრო სამინისტრომ დაადგინა დაარსოს სათადარიგო რკინის გზის განყოფილება.

რკინისგზელები დარწმუნებული არიან, რომ ამ განყოფილების მოსამსახურეებს გამოიყენებენ, როგორც შტრეიკბრეხერებს (ე. ი. ისინი იმუშავებენ გაფიცულ მუშების ადგილზე).

მემანქანეთა კავშირის მდივანმა ბრომლეიმ განაცხადა: „სამხედრო სამინისტროს ზომები მეტად საეჭვოა. მე შეიძლია ავხსნა ეს მთავრობის მიზნით გამოიყენონ ამ განყოფილების მოსამსახურეები გაფიცვების დროს".

რკინის გზელთა ერთმა კავშირმა გამოიტანა რეზოლიუცია მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, რომლისგანაც მოითხოვს ცირკულიარის გაუქმებას, რომელიც გამოცემულ იქნა სათადარიგო რკინის გზის განყოფილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირი აცხადებს რკინისგზის საერთო გაფიცვებს.

## ახალი წელიწადი-დიდი განხეთქილებების წინაშე.

### მათ არ ასვენებს მუშათა მლიერების ზრდა.

ინგლისის გზათა მინისტრმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ შეს ძლებელია მოხდეს სერიოზული განხეთქილებანი სამრეწველო ნიადაგზე.

„გასულმა წელმა—განაცხადა მან—თავის გაფიცვებით დაგვაკარგა 10 მილიონი სამუშაო დღე. ახალი წელი უფრო რთულ უთანხმოების წინაშე სდგას. მუშები აპირობენ აუსრულებელი მოთხოვნილებების წამოყენებას",

## ტუნისის კომუნისტების დევნა.

გავასის სააგენტოს ცნობის თანახმად ტუნისის კომპარტიის მოღვაწეთა ჩხრეკის დროს, პოლიციამ აღმოაჩინა ტუნესის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარის ბინაზე 40 წიგნი და ბროშურა გერმანულ ენაზე. ხელთ იგდეს აგრეთვე ჟურნალისტ ელმუდანის რამოდენიმე წერილობითი საბუთი.

ეს საბუთი ჯერ კიდევ არ არის განხილული.

გაჩხრიკეს აგრეთვე გაზ. „ავენირ-სოციალი"-ს რედაქტორი.

## მდგომარეობა დუარენში.

დუარენის მეპატრონეები საბოტაჟს უცხადებენ სამუშაოზე დაბრუნებულ კონსერვის ქარხნის მუშებს.

რამოდენიმე ქარხანა, მიუხედავად გაფიცვების შეწყვეტისა, კიდევ დაკეტილია.

საგაფიცვო კომიტეტი განაგრძობს არსებობას, სანამ არ განახლდება მუშაობა ყველა საწარმოო დაწესებულებებში.

## შეტაკება გერმანიის რეიხსტაგში.

რეიხსტაგის კამათის შემდეგ ამნისტიის შესახებ მოხდა სასტიკი შეტაკება პარტიის წარმომადგენლებს შორის ფინანსიურ საკითხებთან დაკავშირებით. შედგენილ იქნა პარლამენტის კომისია ბერმატისა და კუტისკერის საქმის გამოსაძიებლად.

ამის შემდეგ მემარჯვენეებისა და კომუნისტების პროტესტების გამო, რეიხსტაგის სხდომა გადადებულ იქნა ოთხშაბათამდის.

შემდეგი სხდომის დღის წესრიგში დაყენებულია მთავრობის დეკლარაცია.

# ინგლისის კომპარტიის წევრი საბჭოთა ასტრახანის შესახებ.

## საბჭოთა მომუშავე არ ჰგავს ბურჟუაზიულ მოხელეს.

## საბჭოთა გამასწორებელი სახლი—სკოლაა, ბურჟუაზიული საპყრობილე კი ცოცხალთა სასაფლაო.

ინგლისის კომპარტიის წევრმა, გარი ტუგუტმა, რომელმაც ინახულა ასტრახანი, როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„მე ხშირად ვიყავ ასტრახანის პასუხისმგებელ მომუშავეთა შორის და მაკვირვებდა ის უამრავი რაოდენობა საკითხების, რომელთა გადაჭრა უხდებათ მათ. სკოლებში მე გამაკვირვა მოსწავლეთა თვითმოქმედებამ. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ახალგაზრდა პიონერების ორგანიზაციამ. მე ვინახულე იძულებითი სამუშაოს სახლები და გაკვირვებული დავრჩი იმით, რომ პატიმრები ასეთ კარგ პირობებში იმყოფებიან. თუ ინგლისში დაბრუნებისას ციხეში ჩამსვამენ, მე შემშურდება ასტრახანის პატიმართა ბედი".

## გლეხთა მომარაგება სამეურნეო მანქანებით

**საბჭოთა ხელისუფლების საზრუნავი—მშრომელთა კეთილდღეობაა.**

უკრაინის სამიწათმოქმედო კომისარიატმა 1923—24 წლებში გამოუშვა მანქანები 12.500.000 მანეთად ღირებული. უკრაინის ტყე-მინდვრიანი რაიონებში დაკმაყოფილებულ იქნა მანქანებით მეურნეობის 50 პროც., მინდვრიან რაიონებში—84 პროც. მომავალ წელში გამოშვებულ იქნება 22 მილიონ მანეთად ღირებული მანქანები. მანქანები დაეთმობა მოუსავლიან ადგილებს დიდ შეღავათიან ფასებში.

## ყველა მშრომელთა დღესასწაული.

(ამხ. ზინოვიევის წერილი).

მასწავლებელთა კონფერენციის შესახებ, რომელიც უნდა გაიხსნას ამ დღეებში, ამხ. ზინოვიევი სწერს: „მოდის დრო, როცა უნდა გავანაღდოთ ოქტომბრის რევოლიუციის პროგრამები. დგება დრო, როცა სახელმწიფოს შეუძლია არა სიტყვით, არამედ საქმით შეუდგეს უცოდინარობის ლიკვიდაციას, სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთა ფართე მასების კულტურული დონის ამაღლებას.

ჩვენი პარტიის დაახლოვება რესპუბლიკების კავშირის მასწავლებლებთან არ არის შემთხვევითი და ჩქარა წარმავალი. დღეს ყველაზე მეტად, ვინემ ეს ოდესმე ყოფილა, პროლეტარიატის ძირითადი ინტერესები უთანხმდება მოსახლეობის ისეთი ჯგუფის ინტერესებს, როგორიც არის მასწავლებლობა. აქედან ცხადია ის რომ პროლეტარიატის პარტიამ წარმატებით შესძლო დაეყენებია დაახლოების ამოცანა მასწავლებლობასთან.

დღევანდელი ყრილობა, ცხადია, არ არის პირველი.

ეს იქნება გაძლიერებული მუშაობით დატვირთული ყრილობა, იმავე დროს ნამდვილი დღესასწაული მთელი მოწინავე მასწავლებლობისა და ქალაქისა და სოფლის მშრომელთათვის.

მასწავლებელი, რომელიც მზადაა თავისი სიცოცხლე შესწიროს იმ მუშაობას, რომელიც გვიანდერძა ჩვენ ლენინმა, დღეს უკვე არ სდგას კენტად. დღეს ჩვენთან არის მასწავლებლობის ძირითადი მასა, ხოლო ხვალ კი ჩვენთან იქნება მასწავლებლობის მთელი მასა.

მასწავლებელი დაიკავებს ლენინის ლაშქრის რიგებში იმ ადგილს, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის".

## ბელადების სურვილი მასწავლებელთა ყრილობას.

**ამხ. რიკოვი:**

„მასწავლებლობის წარმომადგენლები შეიკრიბებიან მოსკოვში იმ მშრომელთა სახელმწიფოს დედაქალაქში, რომელშიაც განათლება, ცოდნა და კულტურა მთელი ხალხის კუთვნილება და ხელმისაწვდომი ხდება, სადაც ყოველივე ეს არ შეადგენს მდიდართა უპირატესობას.

ვუსურვებ მომავალ ყრილობას სრულ წარმატებას მუშაობაში".

**ამხ. კამენევი:** „მშრომელთა რესპუბლიკაში მასწავლებელი უნდა იყოს ჯარის კაცი, რომელიც უნდა იბრძოდეს უვიცობის, უკულტურობის წინააღმდეგ და კომუნიზმისა და ახალი წესწყობილების სასარგებლოდ.

დღეს ყოველ დროზე უფრო საჭიროა კავშირი მასწავლებელს, სახელმწიფოს და კომპარტიას შორის ახალი პოზიციების სიჩქაროდ დასაპყრობად. ყრილობისკენ მიპყრობილია არა მარტო სახელმწიფოს და პარტიის, არამედ მთელი მილიონიან მშრომელთა ყურადღება.

**ამხ. ხ.ალინი:**

„გზა, რომლითაც მიდის მუშა სოციალიზმისაკენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამარჯვების გზა, როცა მრავალ მილიონიანი გლეხობის მშრომელი მასები ივლიან მასზე ხელიხელ ჩაკიდებული მუშათა კლასთან.

ერთ-ერთ რგოლად გახდომა, რომელიც აკავშირებს გლეხთა მასებს მუშათა კლასთან—აი უმთავრესი ამოცანა სოფლის მასწავლებლისა".

## დადგენილება, რომელიც არ სრულდება.

ვის რაც უნდა თქვასო—წისქვილმა კი ფქვასო.

გერმანიის რეიხსტაგის შინაგან წესრიგის კომისიამ გამოიტანა დადგენილება კომუნისტ—დეპუტატის—როზენბაუმის ციხიდან განთავისუფლების შესახებ.

კომისიის ასეთი გადაწყვეტილება დეპუტატ გოლეინის განთავისუფლების შესახებ უარყოფილ იქნა 9 იანვარს.

## სამხედრო საქმე

### როგორი უნდა იყოს მძიებელი.

ბრძოლის წარმატებით დამთავრებისათვის აუცილებელია მდგომარეობის ცოდნა. უამისოდ არ შეიძლება არც ერთი გეგმა. მდგომარეობის უცოდინარობა ხლუდავს უფროსის მოქმედებას.

თანამედროვე ავიაციის თვისებები, სრულებით არ ანელებს მძიებლების მნიშვნელობას და დანიშნულებას, ვინაიდან უკანასკნელი უფრო ადვილად გადალახავს ყოველგვარ შენიღბვას და მოგვცემს ისეთ ცნობებს რომლის შეკრება ავიაციისათვის შეუძლებელია.

მძიებელი განსაკუთრებულ გამბედაობისა და ხელოვნების ადამიანს წარმოადგენს, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში საფრთხეში იმყოფება.

ერთი მათგანს ნაკლოვანება საშინლად აფერხებს წარმატებითი ძიებას. მშიშარა და მერყევი მძიებელი საქმისათვის უსარგებლო და მავნებელიც არის.

ფიცხი გამბედავი მძიებელი, რომელიც მედგრად მიეშურება შეუტიოს მტერს, უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი. მძიებელს უფრო სიდინჯე და ზომიერება უნდა ახასიათებდეს, მაგრამ იმავე დროს ის ახურვილი უნდა იყოს სურვილით რაც არ უნდა დაუჯდეს მიზანს მიახწიოს და საჭირო ცნობები შეკრიბოს.

საზოგადოთ მძიებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს:

1. მას უნდა ქონდეს სა მხედველობა ყურთასმენა. იყო საერთოთ ჯანმრთელი.
2. ქონდეს სათანადო ტა ტიკური მომზადება და იცნო ბდეს, როგორც თავისას ის მტრის შეიარაღების თვის ბებს.
3. უნდა იყოს სალი ჰკუ სა, თვალთვალში დახელოვნე ბული.
4. უნდა იყოს მტკიცე ხა სიათისა, იმავე დროს თავდ ჭერილი და თავაზიანი.
5. უნდა იყოს კარგი მსრო ლელი, ცივი იარაღის მხმარ ბელი და შეეძლოს მანძილი გამოანგარიშება,
6. უნდა იყოს წერა-კითხვი მცოდნე, რომ შეეძლოს ყო ველგვარ საბუთების გარჩე და სათანადო დასმენის წე რილობითი მოტანა.
7. შეეძლოს კარგათ ნიშნო ბა (სიგნალიზაცია).
8. კარგათ შეეძლოს რუქე ბის კითხვა და მათზე და ღაგების აღნიშვნა.
9. შეეძლოს ჰერგვარებიდა მოგერიება.
10. უნდა იცოდეს პირველ დახმარების აღმოჩენა დაჭრი ლებისათვის.
11. ახურვილი იყოს დიდ ნდომით.
12. კარგათ იცოდეს ძიები საშუალებანი და ილეთები.*)

მ. გ.

## მიწის ძვრა.

### ბათომში.

9 იანვარს დილის 8 საათზე და 35 წუთზე ბათომში ადგილი ჰქონდა მიწის ძვრას, რომელიც გაგრძელდა 10 წამს.

### ფოთში.

9 იანვარს საღამოს 7 საათზე და 38 წუთზე ფოთში მოხდა ძლიერი მიწის ძვრა, რომელიც გაგრძელდა 5 წამს. ზარალი არ მომხდარა.

### ტფილისში.

9 იანვარს საღამოს 8 ნახ. საათზე ტფილისში ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ მიწის ძვრას.

მიწის ძვრა ნელი იყო.

## ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ბანაკში.

**საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებში რეაქცია მძვინვარებს.**

ბურჟუაზიული სახელმწიფოების მორიგი ამოცანა დღეს ბოლშევიზმთან ბრძოლაა.

უმთავრესად ეს ბრძოლა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საკმარისია რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოების ცხოვრებაში წონა-სწორობა რაიმემ შეარყიოს, მყისვე ბურჟუაზიულ სამეფოს მორთოს ღრიალი კომუნიზმის საშიშროებაზე.

არ არის დღეს არც ერთი ქვეყანა, სადაც კი მეფობს კაპიტალი, რომ ბურჟუაზიული მთავრობები არ გოდებდენ და არ უწევდენ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას მუშათა მოძრაობას.

ჯერ კიდევ არ გამშრალა ესტონეთის მუშების მიერ დაღვრილი სისხლი, რომ პოლონეთის ჯალათებმა ხელი მიჰყვეს რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას. ესტონეთის მთავრობის მიერ დახვრეტილი მუშების და გლეხების რიცხვი სამასზე მეტია, მათ მიერ კატორღა მისჯილი რევოლიუციონერების რიცხვი რამოდენიმე ასს აღემატება. ჯერაც არ შეწყვეტილა ის საშინელი დევნა-აწიოკება, რომლის ხელმძღვანელებიც არიან ესტონეთის ლოთი მინისტრები.

ესტონეთს თან მოჰყვა პოლონეთის ჯალათების მოქმედება. ასობით ციხეებს ავსებენ მებრძოლ მუშებით და გლეხებით. ჯალათები თავის მუხრუჭებში ახრჩობენ პარტიზანულად მომქმედ რაზმების შეპყრობილ წევრებს. პოლონეთის „წესიერება" არ შეჩერდა იმის წინაშეც, რომ ჩაექრო რევოლიუციონური მოძრაობა, დაარღვია დეპუტატთა ხელშეუხებლობა.

ამას წინათ სეიმმა გასცა პანების მთავრობის მოთხოვნით კომუნისტი ამხ. ლანცუცკი და სამი უკრაინელი დეპუტატი კომუნისტები.

**ბალკანეთშიც ისევეა.**

პოლონეთს არ ჩამორჩა ბალკანეთის სახელმწიფოები. სამხრეთ-სლავიაში საშინელი რეპრესიები სწარმოებს: კანონს გარეშე გამოაცხადეს რადიჩის გლეხური პარტია; დაატყვევეს თითქმის ყველა ლიდერები; დახურეს ყველა გამომცემლობა ამ პარტიის.

**როგორ შეხვდა მსოფლიო სოციალ დემოკრატია ინგლისის დელეგაციის განცხადებებს.**

ინგლისის ტრედიუნიონთა დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში უდიდესი პოლიტიკური მოვლენაა. როგორი სახელი დაიმსახურა დელეგაციამ პერსელის მეთაურობით? ინგლისში ფეხის შედგმის პირველი დღე იყო აღნიშნული მათთვის ინგლისის პოლიციის მიერ მათი გაჩხრეკა. რომ თავი დავანებოთ სხვა ბევრ ბოდვას ბურჟუაზიული და სოციალ-გამყიდველების პრესისას, მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი არის მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომების თათბირი, ბელგიის სატახტო ქ. ბრიუსელში. აქ წამოყო თავი თვით „გაუბედურებულ ქართველ სოციალ-დემოკრატებმაც წერეთლის მეთაურობით, რომ გაეფანტათ დელეგაციის მიერ მიღებული შთაბეჭდილება, რომელმაც მათთვის არა სასურველი ხასიათი მიიღო ევროპას და კერძოთ ინგლისის მუშათა კლასში.

ჩვენ ვიცით ისიც, თუ როგორ მოეკიდა ამ დელეგაციის მოგზაურობას და მათ მრავალ განცხადებებს გერმანიის სოც.-დემოკ., საფრანგეთის სოციალისტები და სხ. ჯერ კიდევ დელეგაციის არ დაუმთავრებია თავისი მოგზაურობა, რომ ძველი და ახალი ქვეყნის სოც.-გამცემლების ჟოუს და გომპერსის მეთაურობით ახმაურდენ ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის მოღალატურ (!) მოქმედებაზე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, სხვანაირად არ შეიძლებოდა, ვინაიდან სოციალ-დემოკრატია ერთი უმთავრესი ძალაა ბურჟუაზიისათვის მისი ბატონობის შესანარჩუნებლად.

**პროლეტარიატის ბანაკში.**

ყოველივე ეს კიდევ უფრო აღვივებს რევოლიუციონურ მოძრაობას, რომელიც აღწევს მთის მწვერვალებს. პროფკავშირთა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად კაპიტალიზმთან საბრძოლველად სულ უფრო და უფრო ფართე მასები იღებენ აქტიურ მონაწილეობას ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში.

ამსტერდამის ინტერნაციონალი იძულებულია მუშათა კლასის გავლენით აღიაროს პროფინტერნის პროფკავშირებთან მთლიანი ფრონტი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეუგნია რომ ის წევრია პროფინტერნის, რომელიც აერთიანებს ათეულ მილიონიან კავშირებს მთელ მსოფლიოზე.

მიუხედავათ ასეთი საშინელი რეაქციის ბატონობისა, ჩვენი ძალები იზრდება დღითი-დღე და შორს არ არის ის დღე როდესაც საბოლოო ანგარიშს გავუსწორებთ მსოფლიო რეაქციას.

ჩაქუჩიანი მუშა და ნამგლიანი გლეხი გახდება ბატონ-პატრონი მთელი ქვეყნის. კომუნიზმის აჩრდილი, რომლის შიშის ქვეშ ცახცახებს ევროპის კაპიტალი, დღითი-დღე იზრდება. ვერავითარი მოქმედება მსოფლიო რეაქციის ვერ შეაშინებს მსოფლიო ბოლშევიზმს და ის უპასუხებს მათ გაათკეცებული ენერგიით.

ვ ხ—ძე.




## სანიტ-საღამო

9 იანვარს, 1-ლ დივ. ცენტ. კლუბში, წითელ არმიელებისა და მუშების დაახლოვების მიზნით ჯანსახკომის სანიტ-ნაწილმა გამართა სანიტარული საღამო-წარმოდგენა.

საღამოს დაესწრნენ მესანგრე და საკავშირო ასეულების წითელ არმიელები, მეთაურები, პოლიტშემადგენლობა, მუშები და ყველა მოსამსახურენი ჯანსახკომის ნაწილებიდან (საავადმყოფოების, ამბულატორიების) მბეჭდავთა კავშირის მუშები და სხვა.

წარმოდგენის დაწყებამდე ექიმ ლომოურმა წაიკითხა ლექცია სანიტარიაზე (სხვა და სხვა ავადმყოფობანი) და განსაკუთრებით შეჩერდა ჭლექზე.

მან ყველასათვის გასაგებად განმარტა ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზები-შედეგები და მათთან ბრძოლის საშუალებანი.

იგი ამავე დროს უჩვენებდა შესაფერის პლაკატებს.

ლექცია ძლიერ შინაარსიანი იყო.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ზოგიერთების უზრდელობა, რომლებიც განგებ ასტეხდენ ხველას.

ამ ვეჟენატონებმა იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ ექიმმა ორჯერ დააპირა ლექციის შეწყვეტა.

საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგისთვის მაინც და აღარ განმეორდეს ასეთი მოვლენები.

სასურველია ხშირად მოეწყობოდეს ასეთი ლექციები.

ლექციის შემდეგ, ამხ. ხუციშვილმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა წითელ არმიელთა და მუშების დაახლოვების შესახებ.

ბოლოს წარმოდგენილი იქნა მსახიობთა და სცენის მოყვარეთა ძალებით ოთხ სურათიანი სანიტ-პიესა: „ზღვის სიმღერა".

მადლობის ღირსნი არიან ჯანსახკომის სანიტ-ნაწილი და ჩვენი კლუბის გამგეობა ასეთი საღამოების გამართვისათვის.

ს—ნ

## გამოასწორეთ ნაკლულევანებანი

**მეორე ლეგიონის სამნეო ნაწილის საყურადღებოთ.**

მეორე ლეგიონში ძლიერ ცუდი მდგომარეობა არის შექმნილი. სამნეო ნაწილის უფროსი ნაკლებად გვაქცევს ყურადღებას. არა ერთხელ გაუფრთხილებია ლეგიონის თავს და სამხკომ ის, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის. ეს ამხანაგი არავითარ ზომებს არ ღებულობს ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ყველა ლეგიონებს ამ ჟამად ეძლევათ სადილი ორი თავისაგან. ჩვენ კი ასეთი არც მოგვლანდებია და ხშირად მთელი ასეული სამ-ოთხ საერთო ჯამში სადილობს, რაც დიდ აურ-ზაურს და არევ-დარევას იწვევს. ნუ თუ შეუძლებელია სამნეო ნაწილისათვის, რომ ხუთ კაცზე ერთი ჯამი დაარიგოს?

ამას გარდა არა გვაქვს მაზარები, პირსახოცები და ხეწრები. არმიისადმი ბრძანებით ჯამაგირები უნდა რიგდებოდეს ყოველი თვის თუთხმეტში, ჩვენ კი ხშირად ვერც თვის დამლევშიც ვღებულობთ. რად ხდება ყოველივე ეს? სამნეო ნაწილის უფროსი თუ არ ვარგა სხვა რად არ აქცევს ყურადღებას ამ მოვლენებს?

წ. არ. ოჭომას პირველი



## ამხ. ლადო ბაგლიძის ხსოვნას.

**მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის გამო**

10 იანვარს შესრულდა ერთი წელი, რაც ცალკე მესანგრეთა ასეულმა დაჰკარგა ერთი საუკეთესო კულტურული მომუშავე (იბკამკე) ამხ. ლადო ბაგლიძე. ამხ. ლადო ძვირფასი იყო არა მარტო მესანგრე ასეულისათვის, არამედ ის დიდად დააკლდა მთელ დივიზიას, რადგან მესანგრეებთან მისვლამდე, ენერგიულად მუშაობდა დივიზიის სხვა ნაწილებშიდაც და ყველგან საუკეთესო კულტ-პოლიტ მომუშავის სახელი დაიმსახურა. საკმარისია გავიხსენოთ მარტო ის, რომ დივიზიის ნაწილების კედლის გაზეთების კონკურსის დროს პირველი პრიზი მისი ხელმძღვანელობით გამომცემულმა გაზეთმა მიიღო.

ჩვენს ასეულში ამხ. ლადომ სულ სამი კვირა დაჰყო, მაგრამ მცირე ხნის განმავლობაშიც მან საკმაოდ დაიმსახურა საერთო სიყვარული და ენერგიული მუშაკის სახელი. შემდეგ ავადმყოფობის გამო ამხანაგი გადაიგზავნა საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა.

ერთი წლის შემდეგ ჩვენი ასეული და ყველა კულტმომუშავე, ვისაც კი დამოკიდებულება ჰქონია გულის ტკივილით იგონებს მას, და მისი ხსოვნა წარუშლელი დარჩება თვითეულთაგანში.

ყოფილი მესანგრე.

## ცოტა რამ მესამე ლეგ. სპორტ-წრეზე.

მესამე ლეგიონს არა აქვს დიდი ხნის ისტორია, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში დაძლეული იქნა ყოველ-გვარი დაბრკოლებანი. ლეგიონში დაარსებიდანვე შესდგა სპორტიული წრე. ხელმძღვანელობის მხრივ წრე ცოტას მოიკოჭლებს მაგრამ სპორტ-შემადგენლობა საერთოდ მძლავრად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა წრეს ნაკლები ყურადღება ექცევა. არა გვაქვს სავარჯიშო იარაღები, ტანსაცმელი სპორტსმენებისათვის. სხვა-და-სხვა იარაღების მოსაწყობათ ლეგიონის მეთაურ-პოლიტ-შემადგენლობამ წრეს შესწირა „პოდეშები," მაგრამ ეს ერთი წვეთია ზღვაში. ლეგიონი თავის-თავად ძლიერ ღარიბია. მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს წრის ყოველ-გვარი მოთხოვნილება.

ჩვენ წრეს ცხრაჯერ მოუხდა სხვა-და-სხვა ნაწილებთან შეჯიბრში გასვლა და მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ყოფილან სათანადოთ მოწყობილი, მაინც ყველგან გამარჯვებული გამოდიოდენ. მომავალისთვის წრიდან ძლიერ კარგი სპორტსმენები გამოვლენ, თუ ყურადღებას მიაქცევენ და უზრუნველყოფენ მას სავარჯიშო იარაღებით.

ა. ჭკადუა.

## სიმართლეს არ შეეფერება.

გაზეთ „წითელ არმიელის" № 685-ში მოთავსებულია ქართ. გაერთ. სამხედრო სკოლის კურსანტ ვ. თავაძის წერილი, სადაც ეხება ამავე სკოლის უწყობრო ასეულის წითელ არმიელებთან მუშაობას.

ამ წერილში ავტორი აღნიშნავს რომ სკოლის კარვობაში ყოფნის დროს, უმწყობრო ასეულის წითელ არმიელებთან სწარმოებდა მეცადინეობა კურსანტების საშუალებით და როდესაც თბილისში ჩამოვიდა ნაწილი, ასეულში შეწყდა ყოველგვარი მეცადინეობა. უკანასკნელ დროს, როგორც სწერს თავიძე, მეცადინეობა დაიწყო ისევ კურსანტების საშუალებით, რომელიც სწარმოებს ყოველ დღე 6 დან 9 საათამდე.

ვინაიდან ეს წერილი ამახინჯებს საქმის სინამდვილეს და გაუგებრობაში შეყავს მკითხველი. უნდა ვღნიშნო შემდეგი.

უწყობრო ასეულის წითელ არმიელები იმყოფებიან განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ეს საზოგადო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ყველა წითელ ჯარის ნაწილებში.

მიუხედავათ ამისა, პოლიტიკური და სხვა ხასიათის მეცადინეობა კვირაში სწარმოებს სამჯერ სულ 9 საათი.

გარდა ამისა კვირაობითაც ხდება პოლიტ-საათის ჩატარება, ან ეწყობა კვირეული მიმოხილვა გაზეთებიდან.

მეცადინეობა დაწყებულია ოქტომბრის შუა რიცხვებიდან და მიმდინარეობს დილაობით 8 დან 11 საათამდე.

რაც შეეხება კურსანტების მიერ საუბრების ჩატარებას, კვირაში ხდება 2-3 ჯერ, ხშირად კი ისე გადის კვირა, რომ საუბრებს კურსანტები არ ატარებენ.

თავაძის წერილით გამოდის, რომ კურსანტები ყოველ დღე ატარებენ საუბრებს წითელ არმიელებთან, ისეკ 3 საათის განმავლობაში, რაც ჯერ არ მომხდარა.

კურსანტების საშუალებით საუბრების ჩატარების მიზანია პოლიტინსტრუქტორული გამოცდილების მიღება, რადგან დღევანდელი წითელი მეთაური, არა მარტო სამხედრო საქმეს უნდა ასწავლიდეს წითელ არმიელებს, არამედ მან უნდა ჩააბას ისინი კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში.

აი ზოგიერთი შესწორებანი ამხ. თავაძის ცნობაში. იმედია ამხანაგები ამის შემდეგ სწორ ცნობებს მიაწვდის ჩვენს გაზეთს.

პ. ხ.

## მეექვსე ტერ-ლეგიონის ასეულის ცხოვრებიდან.

ჩვენს მეექვსე ასეულში სისტემატიურად სწარმოებს კულტურული და პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა.

პოლიტ-საათები ნორმალურად მიმდინარეობენ. ხშირად სხვა და სხვა საკითხების გარშემო იმართება ცხარე კამათი, რაც ხელს უწყობს ამხანაგების გარკვევას.

ასეულს იდეიურ ხელმძღვანელობას უწევს სამაზრო ახ. კომკავშირის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ჭენგელაია. ის ხშირად კითხულობს ასეულში მოხსენებებს და ლექციებს.

კომკავშირის ღია კრებებს სისტემატიურად ესწრებიან არმიელები და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ყველა საკითხების გარჩევაში.

27 დეკემბერს მოეწყო მიტინგი 1900, 1899 და 1901 წელში დაბადებულთა შორის; გაკეთდა მოხსენებები: ქართულ, რუსულ, სომხურ, თათრულ და გერმანულ ენებზე—როგორც საერთაშორისო მდგომარეობის, ისე ტერიტორიალურ სისტემის შემოღების შესახებ. დამსწრე საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა მიტინგით.

ასეული მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მაზრა ყოველგვარ დახმარებას გვიწევს.

ერთი გარემოება ძლიერ გვაწუხებს: არ მოგვდის გაზეთები თავის დროზე. ამ მიყრუებულ ადგილზე უგაზეთობა მიუტევებელი ცოდვაა.

სანიტარული პირობები კარგად არის დაცული. სისუფთავე დაცულია ყოველთვის და ყოველგან. ამხანაგების აღზრდის საქმეს სათანადო ყურადღება ექცევა.

ლ. უტანეთელი.

## პარტიული ცხოვრება

## დვლაზარეთის კომუჯრედის კრება.

2 იანვარს შესდგა დვლაზარეთის კომუჯრედის ღია კრება. დაესწრნენ კომპარტიის წევრები, კომკავშირლები და უპარტიო წითელ არმიელები.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: ამხ. სოსო გედევანიშვილის მოხსენება. სოფლად მუშაობის შესახებ, პარტიაში გადარიცხვა ზოგიერ ამხანაგებისა და სხვა მიმდინარე საკითხები.

პირველად კრებამ მოისმინა ამხ. გედევანიშვილის მოხსენება, რომელმაც ვრცლად გააშუქა თუ როგორი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის გლეხებთან მუშაობას. მოხსენება საინტერესო და საქმიანი იყო. ზოგიერთ ამხანაგების შეკითხვებმა უფრო ამოხსწურეს საკითხი. მოხსენებაზე კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია და ბოლოს მადლობა გადაუხადა ამხანაგს ასეთი საინტერესო საუბრისათვის.

პარტიის რიგებში კრებამ გადარიცხა კანდიდატი უდუნოვი. მიმდინარე საკითხებში შემოვიდა განცხადება კომკავშირში მიღების შესახებ, რასაც სათანადო პასუხი გასცა ამხ. ინანიშვილმა. სხვა საკითხები არაფერი ყოფილა.

წ. არ. ის. კოდუა.

## 1-ლ ასეულში.

ჩვენი ასეულის კომუჯრედი ჩამოყალიბდა ამ უკანასკნელ ხანებში. კრებები მიმდინარეობს სისტემატიურად, მოხსენებები კეთდება ძალიან გასაგები ენით. მომხსენებლებად გამოდიან, როგორც მეთაური პოლიტ შემადგენლობიდან, ისე წითელ არმიელებიდან, დღის წესრიგს იმუშავებს ლეგიონის ბიურო კოლექტივი და უჯრედის მდივნებს საერთო სახელმძღვანელოთ უჯრედში ხშირად ხდება ღია კრებები, რომელსაც ყოველთვის ესწრება უპარტიო წითელ არმიელების 70 პროც. ამ ორი დღის წინათ შესდგა ჩვენი კომუჯრედის კრება.

დღის წესრიგში იდგა საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ჩახუნაშვილმა. მან ვრცლად გააცნო ამხანაგებს საფრანგეთთან დამოკიდებულება, რის შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია, დანარჩენი საკითხებიც სათანადოთ იქნენ გაშუქებული. რამაც ამხანაგები ძლიერ დააკმაყოფილა.

პარტკორი შ. კვინიკაძე.

## 3-მე ლეგ. 4-ხე კომუჯრედში.

3 იანვარს შესდგა ლეგიონის 4 ხე კომუჯრედის კრება. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

პასუხისმგებელ მდივნის მოხსენება, მისი მუშაობის შესახებ, პარტკორის მოხსენება, და მათი არჩევნები. პასუხისმგებელი მდივნის მოხსენებიდან გაირკვა, რომ მისი ამ მოვალეობაზე ყოფნის დროს, არსებულ პირობების და მიხედვით მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. მან ვრცლად აღნიშნა ყველა ის, რაც გაკეთებულა უჯრედში მისი მუშაობის დროს. კრებამ მდივნის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად სცნო მოსმენილ იქნა აგრეთვე პარტკორის მუშაობის შესახებაც, რის შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს.

პასუხის მგებელ მდივნის თანამდებობაზე ერთხმად არჩეული იქნა ამხ. ს. ხუციშვილი, ხოლო პარტკორად კი გადახაბაძე.

სხვა მიმდინარე საკითხების ამოწურვის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალით.

პარტკორი გადახაბაძე

# საქ. ქიმიის მოხალისეთა საზოგადოებაში.

## საქ. ქიმიის მოხალისეთა საზოგადოების თავმჯდომარეთ დაინიშნა მიწ.-მოქ. კომისარი ამხ. ალ. გეგეჭკორი.

### ქიმოხსაზოში იმუშავებს აგრეთვე დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი.

საქ. ქიმიის შეგობართა საზოგადოების საბჭოს სხდომაზე, რომელიც შესდგა 8 იანვარს, გადაწყვეტილ იქნა პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის გადიდება 9-დე და ერთი თავმჯდომარის მოადგილის გამოყოფა.

საბჭოს თავმჯდომარის, ამხ. თენგიზ ჟღენტის ტფილისიდან წასვლის და სამეცნიერო-სატეხნიკო სექციის თავმჯდომარის აცხ. ვორონოვის განთავისუფლების გამო, არჩეულ იქნენ საქ. ქიმოხსაზოს საბჭოს თავმჯდომარეთ მიწ.-მოქ. სახალხო კომისარი ამხ. ალ. გეგეჭკორი და სამეცნიერო-სატეხნიკო სექციის თავმჯდომარეთ კი დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ კი აირჩიეს წით. დრ. არმიის სარდალი ამხ. პუგაჩოვი.

გაერთიანებულ იქნენ ერთ სექციათ სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო სექციები. ეს გაერთიანება მოხდა სექციის საქმიანობის გაჯანსაღებისა და გაუმჯობესების მიზნით.

გასული თვე ნახევრის განმავლობაში ჩავატარეთ მარტო ორგანიზაციული მუშაობა. სხვა გვარი სახის საქმიანობის გაშლა არ მოხერხდა, ერთის მხრივ იმიტომ, რომ არა გვყავდა სამეცნიერო ძალთა შესაფერი კადრი და მეორეც, არა გვქონდა საამისო საშუალებები.

განთქმული პროფესორის პ. მელიქიშვილის თანხმობა დაუყოვნებლივ დაწყებული, საწევრო გადასახადების შემოტანის სიცხოველე, რომელსაც უკვე უჩანს კვალი, მოგვცემს საშუალებას ფართო ნიადაგზე დავაყენოთ საქ. ქიმოხსაზოს ყველა სექციების მუშაობა.

საძირკველი უკვე ჩაყრილია: საქართ. ქიმოხსაზოს ყავს ათიათას წევრზე მეტი.

**კოპაშკო.**

# ამბები სოფლებიდან.

**სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით.**

ბორჩალოს სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა 1925 წ. განმავლობაში, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, უმთავრესი ყურადღება მიაქციოს მცხოვრებთათვის სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღების მიწოდებას.

**ქუთაისის ხელოსნები.**

ქუთაისის ხელოსანთა საზოგადოებამ გადასწყვიტა, უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით გახსნას პარიკმახერთა არტელი. აღმასკომმა არტელს უკვე დაუთმო ბინა.

**სკოლა უცოდინართათვის.**

იანვრის ბოლო რიცხვებში ქუთაისის ხელოსან-თვით-მშრომელთა საზოგადოება ხსნის წერა-კითხვის უცოდინარ წევრთათვის სალიკვიდაციო სკოლას.

**ფოსტა სოფლად**

სოფ. ონტოფოში და გეზათ-გულუხეთში (აბაშის რაიონი) გაიხსნა საფოსტო განყოფილებანი.

**სიმინდის დამზადება.**

ამჟამად ზუგდიდის მაზრაში კოოპერატიული ორგანიზაციები აწარმოებენ სიმინდის დამზადებას. გლეხები მხურვალეთ ეკიდებიან სიმინდის დამზადების საქმეს.

**გზების შესაკეთებლათ.**

მანგლისის რაიონში აღმასკომის ინიციატივით გლეხებმა დაამზადეს საჭირო ხრეში და ქვა, გოხნარის გზა-ტკეცილის გასაყვანათ.

**ბრძოლა სეტყვასთან.**

შულავერში დაარსდა გლეხებისაგან სეტყვის წინააღმდეგ მებრძოლი არტელი-კომუნა, რომელიც დაამტკიცა მიწ.-მოქ. კომისარიატმა.

**სიმინდის მოსავალი.**

1924 წლის შემოდგომაზე მუხრანის სახალხო მამულში მოსულა 4.500 ფუთი სიმინდი.

# ახალი ამბები.

— **წერა-კითხ. უცოდინ. წინააღმდეგ ბრძოლა ჯარში.** 1-ლ ლეგიონში ამჟამად ირიცხება 341 წ.-კით. უცოდინარი, რომლებიც დაყოფილნი არიან 19 ჯგუფათ, და რომლებთანაც სწარმოებს მეცადინეობა ამერიკული მეთოდით.

— **ბიუჯეტის დამტკიცება.** საქ. ც. ა. კ. პრეზიდიუმმა დაამტკიცა ს. ს. ს. რ. 1924 25 წლის ბიუჯეტი და ხარჯთ-აღრიცხვა სრ. საქ. მესამე საბჭოთა ყრილობის მოსაწვევათ.

— **თემალმასკომები და საბჭოები,** საქ. ცაკმა მიიღო დებულების პროექტი თემალმასკომებისა და საბჭოების შემოღების შესახებ.

— **საბჭოების არჩევნებისათვის.** საქ. ცაკმა მიიღო დებულების პროექტი, მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოების არჩევნების ჩასატარებლათ.

— **საავადმყოფოების შესანახათ.** ტფილისის ქალაქის საავათმყოფოების შესანახათ ქალ. აღმასკომმა გადასდო 741,381 მან.

— **სკოლების რიცხვი ტფ მაზრაში.** ტფილისის მაზრაში ამჟამად გახსნილია და მეცადინეობა სწარმოებს 153 სკოლაში.

— **მავთულის შეკვეთა.** ტრამვაის სახელოსნომ ელსამტრესტს შეუკვეთა 300 ფუთი სპილენძის მავთული ელექტრო-მაგნიტურ ღუზების საჭიროებისათვის.

— **მეთუნეეების კოლექტივი.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაამტკიცა მეთუნეების შრომის კოლექტივი.

— **მკითხველების რიცხვი.** გასული დეკემბრის განმავლობაში ტფილისის 9 ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა 3.523 მუდმივი მკითხველი, აქედან რუსები 1168, სომხები 1,166 და ქართველები 975.

— **წიგნები გლეხებისათვის.** საქ. პოლიტგანათლების მთავარ მართველობამ მიწ. მოქმ. კომისარიატიდან შეიძინა დიდძალი წიგნები სოფლის მეურნეობაზე გლეხებში გასავრცელებლათ.

— **ტრაქტორები ამერიკიდან.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გამოიწერა ამერიკიდან 45 ტრაქტორი.

— **სოფლის ნაწარმოებთა დამზადება.** წარმოკავშირი შეუდგა სოფლის ნაწარმოებთა დამზადებას, რისთვისაც გადასდო 1.725.000 მან.

— **სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.** აღმოსავლეთ საქართველოში ამჟამად ჩარიცხულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში 20.009 მეურნეობა.

# მეცნიერება და ტეხნიკა.

**საჰაერო ფოსტა ევროპიდან ამერიკაში.**

ცნობილი ცეპელინის ZRS-ის კაპიტანი დოქტორი ეკენერი ამ ჟამად მუშაობს ევროპისა და ამერიკის შორის მუდმივი საჰაერო საფოსტო მიმოსვლის პროექტის შესადგენად.

ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა 20 მილიონი დოლარის დახარჯვა, რომ დამზადდეს ახალი დირიჟაბლები და სათანადოთ მოეწყოს საჰაერო სადგურები.

ყოველ კვირეულად მარტო საფრანგეთიდან და ინგლისიდან იგზავნება ამერიკაში 300,000 წერილი. რომ შესაძლებელი შეიქნეს ამ შემთხვევაში საგრძნობი კონკურენციის გაწევა გემებისადმი, საჭიროა ორი საჰაერო რეისის შესრულება კვირაში. ეს კი მოითხოვს 5 ახალი დირიჟაბლის დამზადებას.

ეკენერის გამოანგარიშებით ასეთი პირობები თუ იქნა საჰაერო მიმოსვლაში კვირაში შეიძლება შემოვიდეს 11 ათასი დოლარი.

**ფოლადის კბილები.**

ხელოვნური კბილები აქამდე მზადდებოდა ოქროსაგან, ძვლისა და ფაიფურისაგან. ამჟამად კოპენჰაგენის (დანია) კბილის საექიმო ინსტიტუტის პროფესორი იოგანსონმა მოახდინა მთელი რიგი საფუძვლიანი ცდების ახალ პრეპარატის გამოყენების მიზნით, რომლიდანაც შეიძლება ხელოვნური კბილების დამზადება.

ამ პრეპარატს ეწოდება „მისოსტა" და მზადდება ესენის (გერმანია) კრუპის ქარხნებში. პრეპარატი დამზადებულია ქრომო-ნიკელიანი დაუჟანგავი ფოლადისაგან. ის უფრო მოქნილია, ვიდრე ოქრო და ამასთანავე უფრო მსუბუქი, გამძლე და პრაქტიკულიც.

**ახალი მეორე პლანეტა (ცდომილია.)**

1924 წ. 23 ოქტომბერს ასტრონომ ბაადემ ცის თაღის განხილვის დროს აღმოაჩინა ახალი მცირე და მეტად საინტერესო ცდომილი. ეს ცდომილი მეტად სწრაფად მოძრაობდა და თანდათან მატულობდა მისი ბრწყინვალება. მისი მოძრაობის სიჩქარემ და ბრწყინვალების თანდათანობით ზრდამ იმ დასკვნამდე მიიყვანა ბაადე, რომ ის ჩასთვალა კომეტათ.

შემდეგმა დაკვირვებამ ინგლისის გრინვიჩის ობსერვატორიიდან და ამავე დროს გერმანიის კიონისგსბერგისა და ბერგედორფის ობსერვატორიებიდან, გამოარკვიეს, რომ ამ ახლად აღმოჩენილ ცდომილს ქონდა ვარსკვლავის საერთო შეხედულება და სრულიად არ წააგავდა კომეტ[...] ანუ, როგორც უწოდებენ კუ[...]დიან ვარსკვლავს.

გერმანიის ერთმა ობსერვ[...]ტორიამ შეამჩნია, რომ ცდო[...]მელი გარშემორტყმული იყ[...] ბურუსიანი გარსით. ს. ს. [...] კავშირის პულკოვოს ობსე[...]ვატორიის დაკვირვებამ და გ[...]დაღებულმა სურათებმაც გ[...]მოარკვიეს, რომ ეს მნათობ[...] ძლიერ წააგავდა მეცხრე ს[...]რისხის ვარსკვლავს.

ამ ბოლო ხანებში გერმა[...]ნელმა ასტრონომმა შიუტ[...] და საბჭოთა კავშირის ცის მნა[...]თობთა მოძრაობის გამომრკვ[...] ინსტიტუტმა განიხილეს მი[...] მოძრაობა მსოფლიო დაუსრუ[...]ლებელ სივრცეში და გამოარ[...]კვა რომ ეს ახალი მნათობ[...] კუდიანი ვარსკვლავი კი ა[...] არის, არამედ ახალი მეორე ს[...]დიდის პლანეტა—ცდომილი.

ეს ცდომილი ძლიერ საინ[...]ტერესოა მით, რომ განირჩ[...] თავისი მოძრაობის განსაკუთრებული ხასიათით. სხვა მეორე პლანეტებს გზა—სრულია[დ] არ წააგავს მისი მოძრაობის მ[...] მარშრუტებას—გზას — ბრწყი[...]ვალებს ცვალებადობით და [...] ბურუსიანი გარსით, რომელი[...] გარშემო ახვევია ამ პლანეტას.

პასუხისმგებელი
რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

# განცხადება

სამშაბათს, 13 იანვარს, დილის 10 საათზე, ცენტ. კლ[უ]ბში შესდგება სემინარების მორიგი მეცადინეობა. გაკეთებუ[...]ლი იქნება მოხსენებები:

1. სასპორტო განყ. ლენ. კუთხ.—მერკვილაძე.
2. ლენინის განყ.—შმულევიჩი.

დასწრება სავალდებულოა კლუბის უფროსების, პოლიტ[...]ხელების, ბიბლიოთეკარების.

ხელმძღვანელი **ტ. წვენიევი.**

# დაკარგე

დამზღვევ კასის წიგნაკი № 27697 გაცემული დიმიტრი კონსტანტინ[ე]ძე გოგოლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

# სამხედრო დარგის საკითხები.

(პასუხად საჭირულს და სიმართლის მოყვარულს).

დღეს შევეცდებით განვუმარტოთ ამხ. ამხ. საჭიროებს მათ მიერ გაზეთ „წითელ-არმიელი"ს №№ 683 და 684-ში აღძრული საკითხები „მოსპეთ ნაკლულევანება" (აწირული) და „ერთი იყოს და კარგი" (სიმართლის მოყვარული)

სიამოვნებით ვეგებებით ამ შენიშვნებს და ვიქნებით დიდი მოხარული, თუ რომ ამ ნაირ შენიშვნებს ექნება ჩვენს გაზეთ „წითელ-არმიელ"-ში ადგილი იქნობამდის, ვიდრე არ მოისპობა საბოლოოთ სამხედრო დარგის ყველა ნაკლულევანებანი.

**შაქარი თავის დროზე უნდა ურიგდებოდეს წითელ არმიელებს.**

ვის რა შეუძლიან სთქვას ამ მოთხოვნილების წინააღმდეგ? მით მომატებული რომ ამას თვით კანონიც მოითხოვს და სრული საშუალებაც გვაქვს ამის ასრულებისა, ვინაიდან საწყობებში შაქარი არის. საჭიროა მხოლოდ, რომ სამნეო ნაწილის გამგეს არ ეძინოს და თავის დროზე ღებულობდეს შაქარს საწყობიდან. სამნეო კომისიამ კი წითელ არმიელებთან ერთად შეიმუშაოს და დააწესოს, რომელი ვადაზე უფრო ხელ-საყრელია წითელ-არმიელთათვის შაქრის დარიგება და თავისი გადაწყვეტილება წარუდგინოს დასამტკიცებლად და შესაფერი განკარგულების მოსახდენად ერთეულის სამხკომს და უფროსს.

შესაძლებელია იყოს შემთხვევა, როდესაც შაქარი, სიმცირის გამო, საწყობიდან გაიცეს ნაკლებად, ვიდრე ერთეულს ეკუთვნის, მაგრამ ამნაირი შემთხვევები ძალიან იშვიათია და თუნდაც რომ იყოს, უნდა სწრაფად შეტყობინებულ იქმნას დივიზიის მომარაგების უფროსისათვის სათანადო ზომების მისაღებად და ამავე დროს—განემარტოს წითელ-არმიელებს მიზეზი შაქრის სიმცირით გაცემის შესახებ. უნდა იზრუნონ სურსათ-სანოვაგის მიღებაზე საწყობიდან დროით, ვიდრე გამოილევა მარაგი.

**„ბორში," ქაში ანუ სოუსი, საცივი და სხვა.**

გადაჭრა ამ საკითხისა სავსებით დამოკიდებულია ერთეულის უფროსის, სამხკომის და სამნეო ნაწილის გამგისგან სამნეო კომისიის დახმარებით. მთავრობა სრულებით არ მოითხოვს რომ საჭმელი კეთდებოდეს ერთეულში აუცილებლივ თანახმად დამტკიცებულ დასტურობისა, ე. ი. მარტო წვენი „ბორში" და ქაში; შესაძლებელია და საჭიროც არის კეთდებოდეს საჭმელი იმ გემოვნებაზე, რომელიც წითელ-არმიელებს მოსწონთ, ამასთან ყველამ იცის, რომ ნაციონალურ ჯარის ნაწილის წითელ-არმიელის გემოვნება ცოტაოდენ სხვანაირია, ვიდრე რუსის ჯარის ნაწილის—, მაგრამ ჩვენ აქ ხაზი უნდა გაუსვათ ერთ გარემოებას—სახელდობრ: დახარჯულ კერძის სარჩოს ღირებულობა არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულ ნორმის საფასურს. ზედ-მეტის დახარჯვა შეიძლება, მხოლოდ, საძმო თანხიდან, თუ რომ ერთეულს აქვს ასეთი, ზ[ედ]მეტი ხარჯის გაწევა კი [...] ააგარიშით, რომ ვთქომ ხაზ[...]ნა დამატებით კიდევ სხვა რ[ა]იმე მისცემსო—დაუშვებელ[ი] და უიმედოა.

სამნეო ნაწილის გამგემ [...] სამნეო კომისიამ მეტი ინიც[ია]ტივა და წინდახედულობა უ[...] და გამოიჩინოს, რომ საჭმელ[ი] მზადდებოდეს დაწესებული ნ[ო]რმების მიხედვით, გემოვნ[ე]ბითი და მასაზრდოებელ[ი] დასაშვებია კერძს უყოს [...]თი სანოვაგის მაგიერ მეო[...] და თუ საშვალება არის ა[...]თოს ქაშის მაგიერ მარტ[ო] ცხვრის ხორცის „სოუსი" [...] არა შემწვარი ინდოური [...] ეს დამოკიდებულია ერთე[უ]ლის ნივთიერ მდგომარეო[ბა]ზე და სამნეო მუშაკების ი[ნ]ინიციატივაზე. თუ რომ საჭ[მე]ლის გაკეთების დროს ყველ[...] ფერი იხარჯება გონივრულა[დ], ძომჭირნეობით და არაფერი [...] ჩადის ვისიმე ჯიბეში, მაშინ ს[ა]ჭმელიც იქნება კარგი და წ[ი]თელ არმიელიც იქმნებიან მ[ა]ღრნი და კმაყოფილნი.

**ს. შაკუნი.**